განკარგულება:**g-49. 49250878**
თარიღი:**28/03/2025**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს ანგარიში 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2024 წლის III-IV გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

ა ნ გ ა რ ი შ ი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა) იპ ‘’ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი’’ დაარსდა 2015 წელს. ცენტრი სრულად ფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

ა(ა) იპ ‘’ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი’’-ს ხარჯთაღრიცხვა 2024 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში ათვისებულია 148624,56 ლარი,

ცენტრი ახორციელებს შშმ პირთა ზრუნვის პროგრამას. ჯანდაცვის სამინისტროს დადგენილების რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამას, ინტეგრაციას, ინკლუზიურ განათლებას.

ცენტრში ირიცხება წყალტუბოში და წყალტუბოდან 20 კმ-ის რადიუსში მცხოვრები ბენეფიციარები. ბენეფიციარებს ემსახურება ცენტრის კუთვნილი მიკროავტობუსი.

ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან ორჯერადი კვებით. ორივე კვება სამ კომპონენტიანია. ხორცის და თევზის პროდუქტების შემოტანა ხდება კვირაში 5-ჯერ, ყოველდღიურად.

თითოეულ ბავშვზე გათვლილია კალორაჟი. მიღებული საკვების ნიმუშები 24 საათის განმავლობაში ინახება მაცივარში (უსაფრთხოების თვალსაზრისით).

ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, მუსიკალური ინსტრუმენტით, კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორით, ლამინირების აპარატით, რომლის საშუალებითაც ხდება ბენეფიციარების ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში. ცენტრში ფუნქციონირებს ვიდეოთვალი.

ა(ა) იპ ‘’ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი’’-ში 2024 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში ირიცხებოდა 19 ბენეფიციარი, შემდეგი დაავადებებით:

1. დაუნის სინდრომი
2. აუტისტური სპექტრი
3. ცერებრალური დამბლა
4. გონებრივი შეზღუდვა

‘’ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრი’’-ში დასაქმებულია 19 (18 შტატით და 1 შტატგარეშე) ადამიანი.

2024 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში "ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრი"-ში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1.ეტაპობრივად ვაწყობდით ბენეფიციართა გასეირნებას ქალაქის პარკში.

2.ვღებულობდით მონაწილეობას კულტურულ ღონისძიებებში - სპექტაკლები და კონცერტები.

3.მივიღეთ მონაწილეობა "წყალტუბოობა-2024"-ში და მოვაწყვეთ ბენეფიციართა ნამუშევრების გამოფენა.

4‘. "ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრში’’-ში ჩავატრეთ შემოდგომის დღესასწაულის ღონისძიება.

5. 3 დეკემბერს აღინიშნა შშმ პირთა საერთაშორისო დღე.

6.მოვაწყვეთ საახალწლო ღონისძიება. ქალაქის ხელმძღვანელობამ თითოეულ ბენეფიციარს გადასცა სასაჩუქრე ნაკრები.

7. "ბავშვთა ინკლუზიურმა ცენტრმა" თითოეულ ბენეფიციარს გადასცა სასაჩუქრე ნაკრები.

8.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ გია კვასტიანმა საჩუქრები (ტკბილეული და ტკბილი სასმელები) გადასცა ბენეფიციარებს.

9.გვესტუმრა სასულიერო გიმნაზიის ხელმძღვანელობა - მოძღვარი და საჩუქრები გადასცა ბენეფიციარებს.

10. ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრი-ში" ტრადიციულად ყოველთვის აღინიშნება თითოეული ბენეფიციარის დაბადების დღე.

მულტიდისციპლინარულ გუნდთან ერთად შემუშავებულია თითოეულ ბენეფიციართან ინდივიდუალური მუშაობის სამუშაო გეგმა, რომელიც შედგენილია მათი გონებრივი შესაძლენლობების მიხედვით.

მუშაობა მიმდინარეობს შემდეგი უნარების განვითარების მიმართულებით:

1.აკადემიური უნარები

2.მეტყველების უნარები

3. ქცევა.

4.ფუნქციური უნარები (ყოფითი უნარ-ჩვევები)

5.მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარები

6.კოგნიტური უნარები

7.ემოციურ- სოციალური სფერო.

ორგანიზაციას უყურადღებოდ არ ტოვებენ კეთილი ადამიანები, „ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრს“ უსასყიდლოდ ემსახურებიან:

1.შპს „ჰიგია“ - ხელ-ი ც. გურეშიძე

2.შპს „ ერი“ - ხელ-ი რ. კუხალაშვილი

3. შპს “ფლაინეტი“ ხელ-ი- გ. ყუფარაძე

უდიდესი გამარჯვების და თანადგომის ღირსია ის, რომ ჩვენი ყოფილი ბენეფიციარი ამირან ქაჯაია ჩვენი თანამშრომელია, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა მისი ყოფა.